საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ დავა ჟურნალისტის სასარგებლოდ დასრულდა

საია-ს ზუგდიდის ოფისის დახმარებით, ინტერნეტ გამოცემა ,,ლაივპრესის □□ ჟურნალისტმა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დავა მოუგო. საქმე შეეხებოდა სამინისტროდან საჯარო ინფორმაციის მიღებას.

ჟურნალისტი სამინისტროსაგან ითხოვდა იმ წერილის გადაცემას, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიგზავნა 3 პირის WSF-ის ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის დაფინანსებასთან დაკავშირებით. სამინისტრო უარს აცხადებდა ინფორმაციის გაცემაზე, რადგან მიიჩნევდა, რომ ეს გამოიწვევდა სხვისი პერსონალური ინფორმაციის შემცველი მონაცემების დამუშავებას.

სამივე ინსტანციის სასამართლოში დავა ჟურნალისტის სასარგებლოდ დასრულდა. **სასამართლოს განმარტებით, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ოდენობის თანხა განიკარგა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კონკრეტული მიზნით, საჯაროა და ექვემდებარება განმცხადებელზე გაცემას ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნის მიზნობრივობისა და საფუძვლების მიუხედავად.**

შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობა აკისრებდა ვალდებულებას, ჟურნალისტის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და გაეცა შესაბამისი საჯარო ინფორმაცია.